ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6767501

ნომერი: AR11000857

თარიღი : 16.11.2023

გაცემის თარიღი : 07.12.2023

გაცნობის თარიღი : 12.12.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, N 2ა; ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, N 2ა; ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, N 2ა; ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, N 2ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია მგელაძე პ/ნ 01024010830
- თბილისი, ნუცუბიძის I პლატო. მე 16 კორპ ბინა 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 ივლისის №6011578 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 16 ნოემბერს №AR11000857 განცხადებით მომართა ილია მგელაძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 25 ივლისის №6011578 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2022 წლის 25 ივლისის №6011578 ბრძანებით შეთანხმდა №81.02.22.266 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 25 ივლისიდან 2024 წლის 25 ივლისის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია ილია მგელაძე.
წინამდებარე განცხადებით, მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 25 ივლისის №6011578 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის - ილია მგელაძის ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - „შპს თიდა“-ს (ს/ნ: 406144220) დაფიქსირება.
დღევანდელი მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია - № 892023047078, მომზადების თარიღი: 29/09/2023 წ.) თანახმად, №81.02.22.266 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „შპს თიდა“ (ს/ნ: 406144220). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23138934; თარიღი: 02/10/2023 წ.) „შპს თიდა“-ს (ს/ნ: 406144220) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - ილია მგელაძე. შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ– სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №81.02.22.266 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს „შპს თიდა“ (ს/ნ: 406144220) რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2022 წლის 25 ივლისის №6011578 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად „შპს თიდა“ (ს/ნ: 406144220) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად, ვბრძანებ:
1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 ივლისის №6011578 ბრძანებაში და დამკვეთად ილია მგელაძის ნაცვლად დაფიქსირდეს „შპს თიდა“ (ს/ნ: 406144220).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 ივლისის №6011578 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 ივლისის №6011578 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.